ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7776525

ნომერი: AR11124587

თარიღი : 13.01.2026

გაცემის თარიღი : 20.01.2026

გაცნობის თარიღი : 20.01.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 61 , (ნაკვ 5/34);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გეგელაშვილი პ/ნ 59001036692
- ზ.მუზაშვილის ქუჩა N5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 დეკემბრის №7760189 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 13 იანვარს №AR11124587 განცხადებით მომართა გიორგი გეგელაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის

29 დეკემბრის №7760189 ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 29 დეკემბრის №7760189 ბრძანებით, №01.18.06.005.034 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობა/კომპლექსის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, კომერციული) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 29 დეკემბრის №7760189 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად 7422.2 კვ.მ-ის ნაცვლად 7423.9 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 38087.3 კვ.მ-ის ნაცვლად 38089.0 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ამასთან, მოთხოვნილია სამსახურის 2025 წლის 29 დეკემბრის №7760189 ბრძანებაზე გამორჩენილი +4.30 და +53.8 ნიშნულების არქიტექტურული გეგმების დამატება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული საოფისე ფართობი და გეგმა-ნახაზები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი საოფისე და საერთო ფართობები, არასწორი დაჯამების გამო. აგრეთვე, შეთანხმებული +1.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა არ იცვლება, ხდება მხოლოდ აღნიშნული ნიშნულის წარმოდგენილ არქიტექტურულ გეგმაზე ფართობების დაზუსტება. ამასთან, ხდება შეთანხმებულ ბრძანებაზე გამორჩენილი +4.30 და +53.8 ნიშნულების არქიტექტურული გეგმების დამატება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 დეკემბრის №7760189 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 დეკემბრის №7760189 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 7423.9 კვ.მ., საერთო ფართობად - 38089.0 კვ.მ.
2. სამსახურის 2025 წლის 29 დეკემბრის №7760189 ბრძანებით შეთანხმებული +1.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმით.
3. სამსახურის 2025 წლის 29 დეკემბრის №7760189 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმებს დაემატოს, ტექნიკური შეცდომის შედეგად, გამორჩენილი +4.30 და +53.8 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები.
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 დეკემბრის №7760189 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 დეკემბრის №7760189 ბრძანებასთან ერთად.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.